47 კ ა ნ ო ნ ი

საბაჟო დაწესებულებათა მოწყობისა .

I. გაუქმდეს ყველა საბაჟო საქართველოს ტერიტორიაზედ რუსე-თის დაწესებული, სახელდობრ ტფილისის პირველი ხარისხის საბაჟო, ბათუმის პირველი ხარისხის საბაჟო, ფოთის მეორე ხარისხის საბაჟო, საბაჟო საყარაულოები; გუდაუთის, ოლთის, ორჯოხის, ოჩემჩირის, ფსირტის, სოხუმის, საბაჟო ბინები; ანაკლიის, გაგრის, ახალგაგრის, ლიმანის, და ამ დაწესებულე-ბათა საერთო სამმართველო, საინსპექციო საბაჟო უწყება, საერთოდ I4 საბაჟო დაწესებულება .

2. ზემოხსენებული საბაჟოების /იხ. I მ. ამა კან./ მოხელენი დატოვებულ იქნენ შტატს გარეშე საერთო კანონის ძალით, თუ ისინი ხელ-ახლად არ ჩაირიცხნენ ახლად დაარსებულ საბაჟოებში.

3. დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე I9 სა-ბაჟო უწყება შემდეგ ადგილებში:

ა/ მთავარი საბაჟო, ცენტრალური მართვა-გამგეობის უფლე-ბით, ქალაქ ტფილისში.

ბ/ პირველი ხარისხის საბაჟო ქალაქ ფოთში.

გ/ მეორე ხარისხის საბაჟოები - ნატანებსა და სოხუმში.

დ/ მესამე ხარისხის საბაჟოები - გუდაუთაში, ოჩემჩირეში, ათონში, ყულევში, ანაკლიაში, ფოილოში, ლაგოდეხში, ვო-რონცოვკაში, ნარლევანში,ბაკურიანში, აწყურში, აბასთუ-მანში, ოზურგეთში და დარიალში .

4. ფინანსთა და ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრს ემლევა უფლება საგარეო მინისტრთან შეთანხმებით ზემოხსენებული საბაჟოები /იხ. 3 მ. ამა კან./ გადაიტანოს ერთი ადგილი-დან მეორეზედ, შესცვალოს საბაჟოების ხარისხები, გაადი-

საქართველოს ეროვნული არქივი

დოს და შეამოკლოს შტატი, თუ კი ცვლილება იგი არ გამოიწვევს ზედმეტ ხარჯს.

5. მთავარ და პირველ ხარისხის საბაჟოებს ეძლევათ უფლება ყოველგვარი საქონლის შემოტანისა და გატანის ნებადართვისა და მის დაბაჟვისა.

6. მეორე და მესამე ხარისხის საბაჟოებს იგივე უფლება აქვთ /იხ. 5 მ. ამა კან./ გარდა იმ შემთხვევისა როდესაც საქონელს ესაჭიროება ქიმიური ანალიზი, როგორიც არის სამკურნალო წამალი, სააფთიაქო და საღებავი მასალა.

7. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი განაგებს მთელ საბაჟო უწყების საქმეებს მთავარ საბაჟოს საშუალებით,

8. მთავარ საბაჟოს, როგორც ცენტრალურ სამმართველო დაწესებულებას, უფლება აქვს მართვა - გამგეობისა შემდეგის წესით:

ა/ ყოველი საბაჟო დაწესებულება საქართველოს რესპუბლიკისა მართვა-გამგეობის მხრით ექვემდებარება მთავარ საბაჟოს, რომელიც თვალყურს ადევნებს, რათა საბაჟოსათვის გამოცემული კანონები იურიდიულის და ფორმალურის მხრით ჯეროვანად შესრულდეს.

ბ/ მთავარი საბაჟო განმარტებს საჭირო და გაუგებარ კითხვებს.

გ/ გამოცემს საჭირო განკარგულებას და განმარტავს ტარიფის შესრულების და პრაქტიკულ შეფარდების საქმეს.

დ/ იგი წარმომადგენელია უწყებისა სასამართლოს წინაშე.

9. მთავარი საბაჟოს გამგე დაინიშნება ფინანსთა და ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრის წარდგენით და მთავრობის განკარგულებით.

საქართველოს ეროვნული არქივი

I0. მთავარ საბაჟოს გამგის თანაშემწენი გამგე და მისი თანაშემწენი პირველი ხარისხის საბაჟოებისა, გამგენი მეორე და მესამე ხარისხის საბაჟოებისა; რევიზორები, კონტროლიორები, მდივნები, ბუხჰალტერები, საწყობების ზედამხედველნი და გემთა ზედამხედველნი დაინიშნებიან მინისტრის განკარგულებით; სხვა დანარჩენი მოხელენი დაინიშნებიან მთავარ საბაჟოს მიერ მინისტრის ნებართვით, ხოლო მოდარაჟენი დაინიშნებიან ადგილობრივი გამგეთა განკარგულებით.

II. მოისპოს გაუქმებულ საბაჟოების კრედიტი.

I2. ახლად მოწყობილ საბაჟო დაწესებულებათა შესანახად ივლისის პირველიდან ამა I9I8 წლის დამლევამდე თანხმად ამ კანონთან დართულ შტატისა და ხარჯთაღრიცხვისა გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან ხუთას ორმოცდა სამი ათას ოცდა ხუთი მანეთი / 543025/, შემდეგის დანაწილებით : მოხელეთა ჯამაგირისათვის 484250 მან. და სხვა ხარჯისათვის 58775 მან.

I9I8 წ. აგვისტოს 30

ეროვნულ საბჭოს
თავმჯდომარის
ამხანაგი: [signature]

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე [signature]

საქართველოს ეროვნული არქივი